საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

# ბრძანება № 10

12 01 2015 წ.

ქ. თბილისი

**მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის ნინო წერეთლის 2015 წლის 12 იანვრის №11822 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 13 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით.
2. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 23 იანვრიდან 5 თებერვლის 18:30 საათამდე.
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 9 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის, მათ შორის, ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი ელენე ჯიბლაძე